

პიროზითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTMპროექცია

ქს	საცხ. შენობა	ბორდიული			ჭიშკარი
		ხის ღობე			ბეტონი
ქა	არასაცხ. შენობა	ღობე			
		ქვის კედელი		წ	წყალგაყვანილობა
	ფარდული	კედელი		გ	გაზი
	მშენებარე შენობა	ფლატე		კ	კანალიზაცია
		რკინიგზა		სან	სანიაღვრე
	სატრანსფორ. ჯიხური	სამეთვალყურეო ჭები		კგ	კავშირგაბმულობა
	ხეები				ელ. ქსელები
	გარე განათება	ელ. გადამცემი ხაზი		თგ	გათბობა

შენიშვნა:1) ——————— ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

შპს „ბიემჯი გრუპ“
საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14
მობ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:	ზ. ბასილაძე
აზომა:	ნ. ჯიქია
დახაზა:	ნ. ჯიქია
დამკვეთი:	?????????
მაშტაბი: 1:500	19.10.2017 წ.


481200
4625350

იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 20 ნოემბერი 2017წ.

ერთი მხრივ, შპს **"აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი"** (შემდგომში "მეიჯარე"), წარმოდგენილი მინდობილი პირის გვანცა შუბითიძის (პ/ნ 01019020282) სახით, და მეორეს მხრივ, შპს **„ჯი ეკო"** /შემდგომში "მოიჯარე"/, წარმოდგენილი მისი დირექტორის ოთარ გადაბაძის (პ/ნ 01025012422) სახით, ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

(1) „მეიჯარე" გადასცემს „მოიჯარეს" დროებით სარგებლობაში წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებულ უძრავ ნივთს (შემდგომში "ქონება"), ხოლო მოიჯარე იღებს ვალდებულებას გადაიხადოს საიჯარო ქირა ხელშეკრულების შესაბამისად;

მუხლი 2. ქონება (უძრავი ნივთი) და საიჯარო ქირა:

(1) წინამდებარე ხელშეკრულებით „მოიჯარის" დროებით სარგებლობაში გადადის – „მეიჯარის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (საკად. კოდი 01.13.01.015.101) ეზოს ტერიტორიის - 1225 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, მდებარე ქ. თბილისი, ნ.ბოხუასა და ლუბლიანას ქუჩის კვეთაზე.

(2) მხარეთა შეთანხმებით საიჯარო ქირა განისაზღვრება ყოველთვიურად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით კომუნალური გადასახადების გარეშე და მისი გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველი მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე, მოიჯარე სარგებლობს 2 თვიანი საშეღავათო პერიოდით და საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შევლიდან 2 თვის გასვლის შემდგომ.

(3) მოიჯარე ვალდებულია კომუნალური ხარჯი გადაიხადოს საიჯარო ქირასთან ერთად. მოიჯარის კომუნალური ხარჯის დაანგარიშება მოხდება ამ ხარჯის აღრიცხვის მიზნით მეიჯარის მიერ დამონტაჟებული შიდა მრიცხველებით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

(1) წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით.

მუხლი 4. ქონების ხარისხი; „მეიჯარის" გარანტიები;

(1) „მეიჯარე" აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მოიჯარისთვის" გადაცემული ქონება არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.

(2) "უფლებრივად უნაკლო" ქონების ქვეშ იგულისხმება ის, რომ ქონება არის „მეიჯარის" საკუთრება და მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს მოთხოვნები „მოიჯარეს". "ნივთობრივად უნაკლო" ქონების ქვეშ იგულისხმება ის, რომ ქონება ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის და მისი ხარისხი/მდგომარეობა შეთანხმებულია მხარეთა შორის;

(3) თუ საიჯარო ქონებას აღმოაჩნდება ნაკლი ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისგან ქონების დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება ან მესამე პირი განაცხადებს თავის უფლებებს მასზე, მაშინ მოიჯარემ ამის შესახებ დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეიჯარეს, რომელმაც, თავის მხრივ, ყოველი ღონე უნდა იხმაროს ამ გარემოებების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 5. „მოიჯარის“ ვალდებულებები:

5.1. „მოიჯარე“ ვალდებულია:

(1) დაიცვას სარგებლობაში გადაცემული ქონება და გაუფრთხილდეს მას როგორც საკუთარს, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული წესით;

(2) ქონებაზე (უძრავ ნივთზე) არ აწარმოოს სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები მეიჯარის თანხმობის გარეშე, ხოლო მეიჯარის თანხმობის შემთხვევაში ქონების კეთილმოწყობაზე/გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები შემდგომ ანაზღაურებას არ ექვემდებარება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ყველა ამგვარი გაუმჯობესება რჩება მეიჯარეს.

(3) აიღოს სრული პასუხისმგებლობა დაკავებულ ფართზე/ში არსებული მატერიალური ფასეულობის დაცვასა და შენახვაზე.

(4) იზრუნოს ფართის სათანადოდ მოვლისათვის.

სათანადოდ მოვლაში იგულისხმება:

ა) ფართის სისტემატიური დასუფთავება;

ბ) ელექტროობის გამართულობის უზრუნველყოფა;

გ) კომუნალური გადასახადების დროული გადახდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

დ) საკუთარი ხარჯით ჩაატაროს იჯარით გადაცემული ფართის მიმდინარე რემონტი;

(5) ფართის ან მისი ნაწილის დაზიანების შემთხვევაში გადაიხადოს სათანადო ფულადი კომპენსაცია ან დაუბრუნოს ფართს ან მის ნაწილს პირვანდელი სახე დაზიანებიდან არაუგვიანეს ორი კვირის განმავლობაში.

(6) საიჯარო ქონება გამოიყენოს მხოლოდ ავტოსამრეცხაოს მოსაწყობად.

(7) საიჯარო ფართზე არ აწარმოოს კანონით აკრძალული ან/და მეიჯარის საქმიანობის ხელშემშლელი საქმიანობა.

(8) აუნაზღაუროს „მეიჯარეს“ პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი.

(9) გადაიხადოს საჯარო რეესტრში იჯარის სავალდებულო რეგისტრაციისთვის გადასახდელი მომსახურების საფასური.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა:

(1) მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

(2) საიჯარო ქირის გადახდის ვადაგადაცილების შემთხვევაში „მოიჯარეს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის 0.2 %-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფართის დაბრუნების ვალდებულება:

(1) მოიჯარე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე გაათავისუფლოს და დაუბრუნოს ფართი მეიჯარეს, ხოლო ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში - შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში. მეიჯარეს საიჯარო ფართი უნდა დაუბრუნდეს მიღება-ჩაბარების აქტით, პირვანდელ მდგომარეობაში, ხოლო თუ მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაუმჯობესება, მაშინ - ამგვარად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა:

წინამდებარე ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

1. იმ ვადის გასვლისთანავე, რომელიც აღნიშნულია მე-3 მუხლში;
2. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნისთანავე ნებისმიერ დროს.
3. ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მხარეები შეტყობინებას უგზავნიან ერთმანეთს არანაკლებ 10 (ათი) დღისა ხელშეკრულების შეწყვეტამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება წყდება ვალდებულების დარღვევის საფუძველზე.
4. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულების შეწყვეტის სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავების გადაჭრა:

(1) მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტა ხდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო ამ გზით დავის გადაუჭრელობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 10. დამატებითი დებულებები:

(1) წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად; ერთი ეგზემპლარი გადაეცემა - მეიჯარეს, ერთი – მოიჯარეს, ერთი - საჯარო რეესტრს.

(2) მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

11. მხარეთა რეკვიზიტები

მეიჯარე:
შპს " აკადემიკოს ო. ღუდუშაურის
სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი"

მისამართი: თბილისი,
ნ.ბოხუას ქ.N12/ლუბლიანას ქ.N66
საიდ. კოდი: 202193544
საბანკო რეკვიზიტები:
სს "ტერა ბანკი ბანკი"
ანგარიში №GE28KS0000000166443001

მოიჯარე:
შპს „ჯი ეკო"
მის: თბილისი, საბურთალოს რ/ი,
დემეტრე თავდადებულის ქ., კორპ. 20, ბ. 18
საიდ. კოდი: 405237408

მინდობილი პირი:

გვანცა შუბითიძე

დირექტორი

ოთარ გადაბაძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.13.01.015.101**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892017116004 - 20/11/2017 14:30:46

მომზადების თარიღი
20/11/2017 17:10:33

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ღიღუბე		
01	**13**	**01**	**015/101**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ნოდარ ბოხუას ქუჩა N12 / ლუბლიანას ქუჩა N66

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 59780.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**01.13.01.015.072;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა ნაგებობები: N1, N2, N3, N4 და N5 საერთო ფართობით 22250.66 კვ.მ., აგრეთვე ნაგებობები: N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N13, N14, N15, N16, N17, N18, N19, N20, N21, N22, N23.(მათ შორის შენობა N22 და N23 მიწისქვეშა ნაგებობა.)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015196375 , თარიღი 08/04/2015 10:43:08
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/04/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12026493, ამონაწერის მომზადების თარიღი: 28/02/2012 წელი.
- ბრძანება N8716/002-2/5-1232/2 , დამოწმების თარიღი:15/01/2007 , საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია
- ს.ს.ი.პ. "საწარმოთა მართვის სააგენტო"-ს 2004 წლის 15 დეკემბრის წერილი N24-01/106
- გადაწყვეტილება NM14001987/3 , დამოწმების თარიღი:24/03/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N1-1/18 , დამოწმების თარიღი:27/10/2011 ,შპს "სახელმწიფო მომსახურების ბიურო"
- ბარძანება N1-3/294 , დამოწმების თარიღი:27/04/2010 ,სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"
- საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 2 აპრილის ბრძანება N1-3/217
- ბრძანება N1-3/803 , დამოწმების თარიღი:19/08/2011 , ს.ს.ი.პ. "საწარმოთა მართვის სააგენტო"

მესაკუთრეები:
შპს "აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" , ID ნომერი:202193544

მესაკუთრე: **აღწერა:**

შპს "აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 012007169410 თარიღი 18/10/2007 12:32:28	**მოიჯარე**: შპს "ჰეპატოლოგიური კლინიკა "ჰეპა"205093147; **მესაკუთრე**: შპს "აკადემიკოს ო. ღულუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" 202193544; საგანი:შენობა ნაგებობა N2-დან ფართი 450.00 კვ.მ.; ვადა:10 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/10/2007	**იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N1-8999, დამოწმების თარიღი18/10/2007, ნოტარიუსი მ. წიკლაური,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011080119 თარიღი 25/02/2011 17:04:17	**მოიჯარე**: სააქციო საზოგადოება "კორ სტანდარტ ბანკი"204546045; **მესაკუთრე**: შპს "აკადემიკოს ო. ღულუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" 202193544; საგანი:35.22კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (შენობის G ბლოკის პირველ სართულზე 18.975კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი და შენობის ძ ბლოკის პირველ სართულზე 16.245კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი); ვადა:5 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/03/2011	**იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 25.02.2010 წელი.,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011106011 თარიღი 14/03/2011 18:08:23	**მოიჯარე**: შპს "მედი ფიდ" 205012751; **მესაკუთრე**: შპს "აკადემიკოს ო. ღულუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" 202193544; საგანი:ფართი 750.00 კვ.მ.; ვადა:10 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/03/2011	**2009 წლის 26 იანვრის ბრძანება N18332/006-5ა/4-3725, საქართველოს ფინანსთ სამინისტროს შემოსავლების სამსახური ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრი.,** **იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული 2009 წლის 01 მარტს.,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011120377 თარიღი 21/03/2011 16:16:00	**მოიჯარე**: შპს "ვია-ვიტა"205001406; **მესაკუთრე**: შპს "აკადემიკოს ო. ღულუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" 202193544; საგანი:ფართი: V ბლოკის II სართულის ნაწილი 800.00 კვ.მ.; ვადა:15 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/03/2011	**იჯარის ხელშეკრულება. გაფორმებული: 11.02.2003 წელი.,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882011134072 თარიღი 25/03/2011 17:25:38	**მოიჯარე**: შპს "ინტერფეი" 204571007; **მესაკუთრე**: შპს "აკადემიკოს ო. ღულუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" 202193544; საგანი:I სართულზე 0.5 კვ.მ. ფართი.;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/04/2011	**ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართის იჯარაზე, დამოწმების თარიღი 01/10/2010 წელი.,**

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882013529659 თარიღი 30/10/2013 17:25:52	**მოიჯარე: შპს „რეფერალური დახმარების ცენტრი"** 401946784; **მესაკუთრე: შპს "აკადემიკოს ო. ლულუაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი"** 202193544; საგანი:V ბლოკის II სართულის ნაწილი 1035 კვ.მ ; საბოლოო თარიღი:30/10/2015;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/11/2013	**იჯარის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი08/11/2013, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882013600756 თარიღი 05/12/2013 15:56:51	**ქვემოიჯარე: შპს ჰელს მენეჯმენტ ენდ კონსალტინგ** 404965007; **ქვემეიჯარე: შპს „რეფერალური დახმარების ცენტრი"** 401946784; საგანი:V ბლოკის II სართულის ნაწილი არასაცხოვრებელი ფართი 350კვ.მ; ხელშეკრულება მოქმედებს 2015 წლის 01 ნოემბრამდე;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/12/2013	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი05/12/2013, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015737537 თარიღი 24/12/2015 11:50:09	**მოიჯარე: სააქციო საზოგადოება "ჯი პი სი"**201991229; **მესაკუთრე: შპს "აკადემიკოს ო. ლულუაურის სახელობის ეროვნული"** 202193544; საგანი:შენობა N4 ფართი 55.00 კვ.მ; ვადა:1 წელი; ვადის ათვლა იწყება 2015 წლის 15 იანვრიდან;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/12/2015	**იჯარის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი24/12/2015, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017045387 თარიღი 23/01/2017 15:38:32	**მოიჯარე: შპს 100 პროცენტი ქართული** 400155728; **მესაკუთრე: შპს "აკადემიკოს ო. ლულუაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი"** 202193544; საგანი:შენობა-ნაგებობა N3, I სართული, ფართი 307 კვ.მ. ; ვადა:1 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/01/2017	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი23/01/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017195876 თარიღი 15/03/2017 15:41:38	**მეიჯარე: შპს "აკადემიკოს ო. ლულუაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი"** 202193544; **მოიჯარე: შპს "სომეთ მედიქალ საფლაი (სმს)"** 404412792; საგანი:შენობა N9, ფართი 225 კვ.მ; საბოლოო თარიღი:31/12/2017;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/03/2017	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი15/03/2017, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017294435 თარიღი 12/04/2017 11:49:59	**მოიჯარე: შპს "med care"** 406067429; **მესაკუთრე: შპს "აკადემიკოს ო. ლულუაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი"** 202193544; საგანი:შენობა-ნაგებობა N2, მე-1 სართულზე მდებარე 149,5 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი; ვადა:1 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი12/04/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

12/04/2017

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017409541 თარიღი 18/05/2017 11:00:08	**მოიჯარე**: შპს დენტალ 405167965; **მესაკუთრე**: სააქციო საზოგადოება „ აკად. ო ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" 202193544; საგანი:ფართი 18.00 კვ.მ; ვადა:1 წელი; 2016 წლის 01 ნოებრიდან;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/05/2017	**იჯარის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი18/05/2017, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017410098 თარიღი 18/05/2017 11:47:04	**მოიჯარე**: შპს "ჯეობიანჩი" 401961383; **მესაკუთრე**: სააქციო საზოგადოება „ აკად. ო ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" 202193544; საგანი:3 კვ.მ ფართი; ვადა: 03.04.2017-დან 1 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/05/2017	**უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი03/04/2015, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,** **შეთანხმება (02.04.2015-ში გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე), დამოწმების თარიღი18/05/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892017116004 თარიღი 20/11/2017 14:30:46	**მეიჯარე**: შპს "აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" 202193544; **მოიჯარე**: შპს "ჯი ეკო" 405237408; საგანი:ეზოს ტერიტორია 1225კვ.მ ; ვადა:3 წელი;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/11/2017	**იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი20/11/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 012007017465 თარიღი 15/02/2007	თელასის ჯიხურებთან მისასვლელი გზა ფართობით 1203 კვ.მ. დაიტვირთოს სერვიტუტით
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/03/2007	

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge